MES 1 21 0000044735

30/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.01.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:22 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:42 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
14. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1.	არქიმანდრიტი ადამი		რექტორი;	I; II
2.	ნატო ასათიანი-		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I; II
3	გრიგოლ სულაბერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I; II
4	ბელა სარია		ფაკულტეტის დეკანი	I; II
5	თემურ წურწუმია		სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I; II

6	ირინე ბიბილეიშვილი	ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	საქმისწარმოების და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I; II
7	ბელა კოპალიანი		კურატორი კულტურის და მეცნიერების მიმართულებით	
8	ნინელი მელქაძე		ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	I; II
9	მედეა ბენდელიანი		ასოცირებული პროფესორი	I; II
10	ქეთევან პავლიაშვილი		სადოქტორო პროგრამა ქრისტიანობის ისტორია- ხელმძღვანელი	I; II
11	ელენე გეგეშიძე		ასოცირებული პროფესორი	I; II
12	თამარ ჯავახიშვილი		პროფესორი	I; II
13	მარინე კაკიაშვილი		სადოქტორო პროგრამა ფსიქოლოგიის ხელმძღვანელი	I; II
14	რუსეცკი ალექსანდრე		ასოცირებული პროფესორი	I; II
15	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	III
16	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
17	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი	III
18	მაია აზმაიფარაშვილი		"ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	I

2	მანანა გაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
3	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
5	ლევან ჯიქია	(ჩაერთო ტელეფონით)	**II**
6	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
7	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**II**
9	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:22 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
2.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
3. სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
2.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
3. სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა ;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი	2018 წლის 24 აგვისტო, №105;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. N68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქრისტიანობის ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 24 აგვისტოს №106;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. N68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა, საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებსა და ოქმს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობისუნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებულისაკითხი);

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოადგინათ მათი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ბურდული მიესალმა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები: მანანა გაბაშვილი, ირაკლი ნოდია. მისი თქმით, ფსიქოლოგიის პროგრამის გარე შეფასებისათვის ექსპერტთა ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხოციელდა 2020 წლის 10 იანვარს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს. ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ადგილზე ვიზიტმა და დოკუმენტების შესაწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს გათვალისწინებული ჰქონდათ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე, სილაბუსებში განახლდა

ლიტერატურა, პროგრამის შედეგები ახალ სტანდარტთან მეტად შესაბამისობაში მოვიდა, თუმცა რეაკრედიტაციის ეტაპზე გამოვლინდა გარკვეული საკითხები, რაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აისახა რეკომენდაციებისა და რჩევების სახით. ექსპერტის განმარტებით წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მეტწილ შესაბამისობაში იყო პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან, ნაწილობრივ შესაბამისობაში მეორე სტანდარტთან და შესაბამისობაში იყო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტების მოთხოვნებთან. ექსპერტმა წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად პროგრამის დასახელებასა და აღწერას შეეხებოდა, გარდა ამისა, მიღების წინაპირობებს, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, პროგრამის სასწავლო კომპონენტსა და ცალკეულ კურსებს, სასავლო მასალასა და შეთავაზებულ ლიტერატურას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონიალია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის უფრო შესატყვისი სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, -სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი საკითხებს, როგორიცაა დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმართება.
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს მიზნის ფორმულირება და შესაბამისად, ამოღებული იქნეს ტერმინი სოციალური გადახრები.
- რეკომენდებულია თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მოცემული სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრულ დონესთან.
- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირდეს და განისაზღვროს ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხით.
- რეკომენდებულია სავალდებულო კურსების ჩამონათვალში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის დამატება, ვინაიდან სწავლების სადოქტორო საფეხურზეა საუბარი.
- რეკომენდებულია, წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული 130 კრედიტი და შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს სპეციფიკური სასემინარო ფორმატი.
- რეკომენდებულია, სილაბუსებში ასახული ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების სადოქტორო საფეხურს.
- რეკომენდებულია, საგნის სფეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტდეს სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები.
- რეკომენდებულია, შეიქმნას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უნივერსიტეტში.

საბჭოს სხდომას 15:48 საათზე შემოუერთდნენ საბჭოს წევრები პაატა ბრეკაშვილი და ეკა ეკალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზება წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის უკვე ცნობილი იყო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით მათ მიერ 2020 წლის 10 აპრილის

საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, თუ რამ განაპირობა საბჭოს მხრიდან უარის თქმა. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რატომ არ ეთანხმებოდნენ საბჭოს მიერ ერთხელ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას.

დაწესებულების წარმომადგენელი საბჭოზე დამსწრე წევრებს მიესალმა და ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში და დასაბუთების 2.4 პუნქტში მითითებული იყო, რომ საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ შეფასება უნდა შეცვლილიყო. პირველი სტანდარტი, რომელიც ექსპერტთა მიერ შეფასებული იქნა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა ყოფილიყო „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი „არ იყო შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი იყო არა შესაბამისი, არამედ „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“. ყოველივე ზემოთთქმულს დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა რამდენიმე გარემოების გამო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მეორე სტანდარტი შეეხებოდა სილაბუსში აღწერილი კონკრეტული შედეგებისა და სილაბუსში მოცემულ სწავლის შედეგების შესაბამისობას. ამ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელი ნაწილობრივ დაეთანხმა, პროგრამის გადახედვისა და დაკორექტირების საკითხი დაისვა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით პირველი აკრედიტაცია მიიღების თარიღი იყო 2018 წლის აგვისტო,2018 წლის 5 დეკემბრიდან მოქმედებდა სადოქტორო პროგრამა, სადაც 6 დოქტორანტი ჰყავდათ. აკრედიტაციის ვადად განსაზღვრული იყო 1 წელი და 6 თვე, ხოლო განაცხადის გაკეთების ვალდებულება დაწესებულებას ჰქონდა აკრედიტაციის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშში მითითებული იყო სადოქტორო პროგრამის ის ნაწილი, რომელიც დოქტორანტებმა სასწავლო კომპონენტების გავლას მოახმარეს. ამას დაემთხვა ახალი კლასიფიკატორის შემოტანაც, სილაბუსების განახლების პროცესი კი პერმანენტულად მიმდინარეობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი განაგრძო მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად ჩარიცხული დოქტორანტების მიერ წარმოდგენილი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებით, დგინდებოდა, რომ მათ შესაწავლილი ჰქონდათ სასწავლო კურსი ფსიქოლოგიაში. საუბარი იყო კონკრეტულად 6 დოქტორანტზე, რომელიც დაწესებულებას მიღებული ჰყავდა. ასევე, სამართლის სპეციალისტებს ფისქოლოგიის სასწავლო კურსთან ერთად შესაწავლილი ჰქონდათ კრიმინოლოგიის სასწავლო კურსიც, რომელთა სწავლის შედეგებიც რელევანტური იყო პროგრამის მიზნებთან. ამასთან ერთად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად, დოქტორანტობის კანდიდატს უნდა გაევლო გასაუბრება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და რეფერატის სახით უნდა წარმოადგინა დარგში კვლევითი ინტერესი და გაევლო გასაუბრება ფაკულტეტზე შექმნილ სპეციალურ კომისიასთან. შემდეგ უნდა ჩაებარებინა უცხო ენასა და ფსიქოლოგიის დისციპლინაში გამოცდა, ფაკულტეტზე არსებული შესაბამისი კომისიის წინაშე. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, აღნიშნულ პროცედურას სადოქტორო პროგრამაზე პირის შემთხვევით მოხვედრა მინიმუმამამდე დაჰყავდა და შეუძლებელი იყო ისეთი პიროვნება ჩარიცხულიყო ვისაც დარგში ცოდნა არ ექნებოდა.

მეხუთე რეკომენდაციის განხილვისას, დაწესებულების წარმომადგენელმა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი ახსენა, რომლის საფუძლითაც ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, გარდა ამისა მან ყურადღება 27-ე მუხლის მესამე ნაწილსა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის პირველი ნაწილზე გაამახვილა. შესაბამისად, კონკრეტულად ფსიქოლოგიის

მაგისტრის მინიშნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესებულების წარმომადგენელმა მართებულად არ მიიჩნია. თუმცა, მისი აზრით, იდეალური ვარიანტი იქნებოდა ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ფსიქოლოგიის მაგისტრის მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლიც ახსენა, რომლის შესაბამისადაც მოხდა პროგრამის ცვლილება. აქედან გამომდინარე, მითითებულ სამართლებრივ ნორმასთან წარმოდგენილი ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო, რადგან 180 კრედიტიდან კვლევით კომპონენტს ერთობოდა 150, ხოლო სასწავლო კომპონენტი შეასგენდა 50 კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაურბა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნის საკითხზეც. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია მხოლოდ ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას არ ეხებოდა, უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩატარა. უნივერსისტეტში სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მდგომარეობა ავტორიზაციის საბჭომ შეამოწმა და ნახა, რომ ელექტრონული სისტემის შექმნის პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა.

საუბარო განაგრძო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, იგი მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და მადლობა გადაუხადა მათ. მისი მითითებით, აკრედიტაციის საბჭოს არ წარმოუდგენია არგუმენტები, არც სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და არც ხარისხის სამსახურისთვის, თუ რატომ არ იმსახურებდა პროგრამა აკრედიტაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ორივე შემთხვევაში ექსპერტთა დასკვნების უმეტესობა საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულ იქნა. მისი თქმით პროგრამა ბევრად გაუმჯობესდა, გაძლიერდა კვლევითი სწავლის მეთოდი, ამავედროს სამეცნიერო კომპონენტებიც, დაზუსტდა პროგრამის სახელწოდება, დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები, ხოლო ამ ყველაფრის გათვალისწინებით დაწესებულების წარმომადგენლისთვის ბუნდოვანი იყო, თუ რატომ ვერ მიიღო პროგრამამ აკრედიტაცია. პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2016 წელს, 2018 წელს პროგრამამ გაიარა პირველი აკრედიტაცია. პროგრამის შემუშავებაზე ხელმძღვანელთან ერთად მუშაობდა რექტორატი და ხარისხის სამსახური. დაწესებულების მხრიდან ვერ მოხდა გათვალისწინება პროგრამაში სტატისტიკის კურსის შემოტანისა, რადგან კურსი მოითხოვდა რომ ყოფილიყო 2 სემესტრიანი, შესაბამისად რომელიმე საგანი სასწავლო კომპონენტიდან უნდა ამოღებულიყო. ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა არჩიეს სასწავლო კომპონენტი დაეტოვებინათ ძირითადი საგნებით, ხოლო დისერტაციის სტატისტიკური გამართულობა სხვა გზით ყოფილიყო უზრუნველყოფილი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს გავლილი აქვთ სტატისტიკა, შესაბამისად ამ მიმართულებით გარკვეული ცოდნაც მათ ექნებოდათ. მისი მითითებით, ფაკულტეტზე არსებობდა სამაგისტრო კურსი სამედიცინო მიმართულებით, სადაც სტატისტიკა, როგორც საგანი ისწავლებოდა. თუ დოქტორანტს არ ექნებოდა გავლილი სტატისტიკის კურსი, მას შეეძლო მაგისტრებთან ერთად ამ კურსის გავლა. ასევე დოქტორანტები კვლევის მეთოდოლოგიასაც გადიან, სადაც ნებისმიერი ემპირიული კვლევა აუცილებლად მოითხოვს სტატისტიკური მხარის წარმოდგენას, ამის გათვალისწინება დოქტორანტს საშუალებას მისცემს ყურადღება გაამახვილოს სტატისტიკურ მხარეზეც.

საუბარი განაგრძო თამარ ჯავახიშვილმა და მან შეახსენა საბჭოს წევრებს რომ 212-2013 წლებში საქართველოში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, აქტიურ დოქტორანტთა რაოდენობას, ორნახევარჯერ აღემატებოდა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა. სტატუსის შეჩერების დასაწყის მომენტში, ყველას აქვს სურვილი დაუბრუნდეს კვლევას, მაგრამ გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მათი 80% გარკვეული დროის შემდეგ აღარ უბრუნდება მას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს მომენტი ჩვენს ქვეყანას აზარალებს. საქართველოს მთავრობა მეოცე საუკუნის ბოლოს შეუერთდა გაეროს ინიციატივას და აიღო

ვალდებულება, რომ ქვეყნის შიგნით პრიორიტეტული იქნებოდა ახალგაზრდობისთვის საჭირო პირობების შექმნა ხარისხიანი განათლების მიღებისა და დასაქმებისთვის. 20 წლის შემდეგ გაეროს კომისიამ შეამოწმა საქართველოში ამ კუთხით მდგომარეობა და დადებითად ვერ შეაფასა. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდების საჭიროებები დიდწილად არ კმაყოფილდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვიანი დაოჯახების საკითხი, დაოჯახებას ეკონომიკური საფუძველი სჭირდება, კვლევები აჩვენებს, რომ ასაკოვან ოჯახში მეტია ალბათობა ახალშობილის უნაყოფოობისა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, მნიშვნელოვანია დავუკვირდეთ ერასმუსის დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერს. განათლებისა და კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება მიზნად უნდა ისახავდეს არსებული მდგომარეობიდან წინსვლას, გაცემული რეკომენდაციის შესრულებაში ხელშეწყობას და არა მკაცრ კონტროლს, გაუქმების. თამარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ორი სტატუსშეჩერებული დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსით გააკეთა განმარტება.

დაწესებულების წარმომადგენელის აზრით ნებისმიერი პროცესი კონსტრუქციულობისაკენ უნდა მიდიოდეს, იმისათვის რომ შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკას ვეწეოდეთ. მისი განმარტებით, განათლების სისტემა დაზარალებულია. მან მაგალითად მოიყვანა, საბჭოს დაწყება ნახავარი საათის დაგვიანებით, ნახევარი საათი არის ეკონომიკური პარამეტრი, ევროსტანდარტების მიხედვით ესაა 5 ევრო არაკვალიფიცირებული კადრების მუშაობის შეფასების სტანდარტით. მისი დამოკიდებულებით, სადაც შესაძლებელია გაცემული უნდა იყოს კეთილი რჩევა, რომლის განვითარებაზეც უნდა იმუშაოს უნივერსიტეტმა და არა ექსპერტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების უფრო გაღრმავება. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ უნივერსიტეტი არის არაკომერციული, სტუდენტებისა და პროფესორების მცირე რაოდენობით, უნივერსიტეტის მისიის შესრულებისთვის კი ამ პროგრამას გარკვეული კომპონენტები გააჩნია. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა იდეა განათლების სისტემის სტრუქტურებისთვის სამოქალაქო აუდიტის შექმნის თაობაზე, მათ შორის, ხარისხის მართვის სამსახურის თაობაზეც. მისი აზრით, ღირსეული გადაწყვეტილება იქნება კონსტრუქციულად განწყობა და ერთმანეთის აზრის პატივისცემა.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტება გააკეთა შეფასებისა და სწავლის შედეგების ახალ სტანდარტებთან მისადაგების პროცესთან დაკავშირებით. ეს პროცესი მიმდინარეობს დაჩქარებულად და საგანმანათლებლო დაწესებულება გადადის სწავლების შედეგების სამკომპონენტიან სისტემაზე, სადაც პირველი არის ცოდნა-გაცნობიერება, მეორე უნარები, ხოლო მესამე პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სამუშაოთა მთელი ციკლი მიმდინარეობს პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრებით. ეს სამუშაოები მიმდინარეობას არა მხოლოდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, არამედ ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შუალედური მონიტორინგის დროს ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება თვალი მიედევნებინათ აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა მიმუთითა, რომ იგი იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს წევრია. სახელმწიფოს პოლიტიკის ერთი არსებითი მიმართულება, მისი აზრით, არის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციაზე, სრულფასოვან მოქალაქეობაზე ზრუნვა. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა არც ისე მარტივი საქმეა და ყველაფერი, რაც რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას უკავშირდება არის ძალიან რთული პროცესი. პროგრამის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციასთან შედარებით უპირატესობა მიეცა ამ პროცესების პრევენციას. ამ მიმართულებით ეროვნულ საკვლევ მასალაზე დაფუძნებული პროცესების წარმართვის შესაძლებლობა არის შეზღუდული. ეს ყოველივე დიდწილად ნათარგმნ მასალას ეფუძნება, რომელიც ძალიან საინტერესოა, თუმცა ვერ შევხვდებით ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, იმ პროცესებს, რომელთა შესწავლა მხოლოდ ეროვნული სამეცნიერო კადრის

საშუალებით არის შესაძლებელი. ამიტომაც ამ პროგრამის შეჩერება აზარალებს სახელმწიფოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულფასოვან განვითარებას. ამ პროგრამას მეორე ნაწილიც აქვს, ესაა კროსკულტურული მიმართულება მისი შექმნისას გათვალისწინებულ იქნა, რომ ეთნიკური, კულტურული, რელიგიური იდენტობა საქართველოში დღეს პოლიტიკის ერთი დიდი მიმართულებაა. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართული სახელმწიფოს დინამიური, ფუნქციური განვითარებისთვის. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მიცემის შესახებ საუბრისას, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს პროგრამა სახელმწიფოში უსაფრთხოების ჭრილში განსახილველ საკითხთა შორის დგას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა ხარვეზი რეკომენდაციების გათვალისწინებით გასწორდება, მოვა შესაბამისობაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა არის სრულიად ავთენტური, განსხვავებული, სახელმწიფო ინტერესების გათვლით შექმნილი და მისი აზრით, საბჭოს წევრების მხარდაჭერით პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იქნება.

საკუთარი აზრი გამოთქვა ბელა კოპალიანმაც, როგორც სამეცნიერო და კულტურული მიმართულების ხელმძღვანელმა. იგი წლების განმავლობაში უნივერსიტეტს ეხმარებოდა პროგრამების ინტერნაციონალიზაციაში, საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობაში. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი, შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანი იყო ის საკითხები, რაც საბჭოზე განიხილებოდა. მისი განმარტებით, უნივერსიტეტმა დიდი ხანია დაიწყო რებრენდინგი, ხდება ადამიანური რესურსების განახლება. გარდა ამისა, სამომავლოდ, სხვა პროგრამებშიც, გათვალისწინებული იქნა ყველა შენიშვნა, უნივერსიტეტი გადადის სრულიად ახალ ფაზაში. რამდენიმე წლის წინ ევროკავშირი დაინტერესდა, რომ საქართველოში ყოფილიყო ინტერკულტურული დიალოგის პროგრამები, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც თავად უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო. გამოიცა უამრავი ლიტერატურა, ჩატარდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ტრენინგები, გადამზადდნენ პროფესორები და მასწავლებლები, თუმცა ეს კომპონენტი მაინც ამოვარდა, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სივრციდან. მისი მითითებით, კროსკულტურული მიმართულებები ძალიან მნიშვნელოვანია. მისი განმარტებიღ საქართველოს სჭირდება სერიოზული აკადემიური პროგრამები კროსკულტურული მიმართულებით. მან მაგალითად მოიყვანა გურიაში მომხდარი ინციდენტი ორ განსხვავებულ რელიგიურ თემს შორის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დღეს საქართველოში ხარისხიანი კვლევითი პროგრამების ნაკლებობაა. უნივერსიტეტები უმეტესად ამ ნაწილს დღეს ვერ პასუხობენ, ამიტომ უმნიშვნელოვანესია სამეცნიერო ხარისხით დაიდოს კვლევები. მისი მითითებით, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ლაბორატორიის შექმნა სურდათ დაწესებულების წარმომადგენლებს. ლაბორატორია, რომელშიც იქნება სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტების ჩართულობის საშუალება, ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც. კომუნიკაცია უკვე დამყარდა სამ უნივერსიტეტთან, მათ შორისაა რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტი, საიდანაც გამოიგზავნა მოსაზრებები, თუ როგორი შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური კვლევების ლაბორატორია. დაწესებულების წარომადგენლებს სურვილი აქვთ, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ფსიქოლოგიური კვლევითი ცენტრი, სადაც დოქტორანტები გაივლიან პრაქტიკას, ასევე დაიმეგობრებენ სხვა უნივერსიტეტებსაც. მათი განმარტებით აღნიშნული ტიპის კვლევები არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ სახელმწიფოსათვის უნდა გაკეთდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა წყნეთის საჯარო სკოლა, სადაც სასწავლებლად შეიყვანეს აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები. სკოლაში არ ჰყავდათ ფსიქოლოგები, შესაბამისად ვერ მოხდა წინასწარ ბავშვებთან მუშაობა, რამაც გამოიწვია ის, რომ ბავშვებმა სკოლა დატოვეს ადგილობრივებსა და დევნილებს შორის მომხდარი დავის გამო. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, საქართველოში სერიოზული ფსიქოლოგიური ცენტრია ჩამოსაყალიბებელი და იგი მიესალმება, თუ კი ამას საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ითავებს.

მოსაზრება გამოთქვა დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამაც, მისი თქმით საბჭოზე წინა განხილვის დროს ითქვა „საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები“, დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით აღნიშნული არის არასამართლიანი. ცენტრის დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის და საქმიანობის წესი, ხოლო მეექვსე მუხლში წერია, რომ ექსპერტთა ჯგუფი იქმნება განათლების ხარისხის განვითარებისა და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების სრულფასოვნად, მრავალმხრივ და ობიექტურად შეფასებისთვის. შესაბამისად, ჯგუფი კომპლექტდება პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით გამორჩეული პირებით, რომელთა შემუშავებული დასკვნა შემდგომ იქნება სანდო. დაწესებულების მოლოდინი იყო, რომ ექსპერტთა დასკვნა საბჭოს მხრიდან იქნებოდა შეფასებული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სასარგებლოდ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საბჭოს მხრიდან მათ მიიღეს გაუარესებული შეფასება, რაც წინააღმდეგობაშია კანონთან. მან ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც დასკვნაში აისახა - სასწავლო პროცესის მართვის სისტემა. ამ სტანდარტში, ექსპერტების მხრიდან იყო შეფასება „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ერთადერთი რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემაზე საბჭომ გაიზიარა, მაგრამ მეოთხე სტანდარტი გადაიტანა მეტწილად შესაბამისობაში. დაწესებულების წარმომადგენელი ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებით იყო მონიტორინგის ჯგუფი დაწესებულებაში და მათ ჰქონდათ მსგავსი შენიშვნა, განხილვის შემდეგ ავტორიზაციის საბჭოს დაწესეულებამ წარუდგინა ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით ხელშეკრულება და დაწყებული გრძელვადიანი სამუშაოები. ავტორიზაციის საბჭომ ეს მიიღო გამოსწორებულად და შენიშვნა არ ყოფილა. შესაბამისად, ამ ერთადერთი რეკომენდაციის გათვალისწინებით, რაც გაიცა ექსპერტების მხრიდან მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, აღნიშნული სტანდარტი უნდა დარჩენილიყო მოთხოვნებთან შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელმა დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელსაც არ ეთანხმება უნივერსიტეტი, რადგან იგი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის დანაწესთან წინააღმდეგობაში მოდის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ სურვილი გამოთქვა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან უშუალოდ რეკომენდაციებზე ყოფილიყო მეტი აქცენტი გაკეთებული. განმარტება რომ გაკეთებულიყო განსაკუთრებით იმ რეკომენდაციებზე, რომელიც საბჭომ დაამატა, უფრო მარწმუნებელი იქნებოდა საბჭოს წევრებისთვის. მისი აზრით, ფსიქოლოგიის ეს პროგრამა და ზოგადად მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ამ მხრივ საჭიროებს კვალიფიციურ სპეციალისტებს. თუმცა საბჭოს წევრების ფუნქცია და მიზანი არის, ის რომ დარწმუნდნენ ამ მნიშვნელოვან მიზანსა და გამოწვევას ეს პროგრამა პასუხობს თუ არა. რეკომენდაციებზე კონცენტრირება უკეთესია, რადგან ამით დაწესებულება ძლიერ მხარეს წარმოაჩენს.

დიმიტრი გეგენავამ ყურადღება გაამახვილა მეშვიდე რეკომენდაციაზე, მის ფორმულირებასა და შინაარსზე, რომელიც სამეცნიერო კვლევით კომპონენტს ეხებოდა და არა სასწავლო კომპონენტს.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა. თუ პროგრამის ხანგრძლივობა 180 კრედიტია, 130 კრედიტია სამეცნიერო კომპონენტი, ხოლო სასწავლო კომპონენტის გამოდის 50 კრედიტი.

დიმიტირი გეგენავამ დააკონკრეტა, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისათვის კრედიტების მინიჭება უმაღლესი განათლების კანონისა და განათლებლისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებით აკრძალულია. კანონმდებლობა კრძალავს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისთვის კრედიტების მინიჭებას, ხოლო უნივერსიტეტმა ყურადღება 60 კრედიტზე გაამახვილა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის აკრედიტაციის დროს აღნიშნული ბრძანება მიღებული არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, უნივერსიტეტი ამ ბრძანებას გაითვალისწინებდა.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ საბჭო პროგრამას აფასებდა მოცემულ მომენტში მოქმედი კანონმდებლობით, როდესაც მათ აღნიშნული მოწესრიგება პროგრამაში ჩადებული არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენლის, თამარ ჯავახიშვილის თქმით, საქართველოში არსებობდა ინსტიტუტი „მოზარდი“, სადაც იყვნენ იურისტები და ფსიქოლოგები. მისი თქმით, ფსიქოლოგებისა და იურისტების დაპირისპირებას თავისი საინტერესო ისტორია აქვს. კანონების განმახორციელებლები - პოლიციელები, კარგად ერკვევიან ფსიქოლოგიაში. კრიმინოლოგიას საფუძველი დაუდო მათემატიკურმა სტატისტიკამ და ფსიქოლოგიამ. ერთ-ერთმა მეცნიერმა სპეციალურად ჩაიდინა დანაშაული, რომ ჩამჯდარიყო ციხეში და სამართალდამრღვევთა ფსიქიკა შეესწავლა. აღნიშნული პირი ხელს უწყობდა თანამშრომელ ფსიქოლოგებს, რომ ეუშავათ არასრუწლოვან დამნაშავეებთან. თავად თამარ ჯავახიშვილი 5 წელი მუშაობდა მათთან, მისი თქმით არსრულწლოვნები ამაყობდნენ დანაშაულის ჩადენით, თუმცა თამარ ჯავახიშვილმა მათ ყველაფერი სწორად აუხსნა. ისინი აგრესიისა და ბრაზისაგან ფსიქოლოგებმა სიყვარულით გაანთავისუფლეს. თამარ ჯავახიშვილის თქმით, შესაძლოა პროგრამის ფორმა არ არის ისეთი, როგორიც სურდათ, თუმცა ჩაიდო მასში შინაარსი. ხოლო გაცემული რეკომენდაციების შესრულება და განხორციელება მოხდება აღნიშნულ პროგრამაზე. თამარ ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგია დადგა პირველ ადგილას საპყრობილეში დამნაშავეებთან მუშაობის პროცესში.

მეორე საკითხის ზეპირი განხილვა - .ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობისუნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკანდაბრუნებული საკითხი);

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებსა და ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმს.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი საბჭოზე დამსწრე პირებს მიესალმა და განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამა, თანდართული დოკუმენდაცია და შესაბამისად, გაიცა რეკომენდაციები.

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან. - აღნიშნული რეკომენდაცია წინა ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა გაცემული, თუმცა ამ ეტაპზე ექსპერტებმა ვერ დაინახეს რეკომენდაციის შესრულების ხარისხი.
- პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა და შესაბამისად, პროგრამა უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის კურსით.
- ხარვეზებია სასწავლო კურსში „თანამედროვე მოძრაობები“, სილაბუსში მითითებული გარკვეული თემატიკა გადასამუშავებელია, რადგანაც არ ემთხვევა სასწავლო კურსის დასახელებას.
- სასწავლო კურსში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური პრობლემები“, სილაბუსის გარკვეული საკითხები არის გადასამუშავებელი.
- სასწავლო კურსი „ბიბლიური არქეოლოგია“, არ შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და შესაბამისად პროგრამაში არ უნდა იყოს აღნიშული სასწავლო კურსი.
- უნივერსიტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე, ასევე ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული შენიშვნა სადისერტაციო ნაშრომების სათაურებთან, რომლებიც დაუმტკიცდათ დოქტორანტებს. ექსპერტის თქმით, თითოეული თემა უნდა იყოს დისერტაბელური და დოქტორანტმა უნდა შეძლოს აღნიშნული ნაშრომის დაწერა.
- დასკვნით გამოცდაზე გამსვლელ ქულასთან დაკავშირებით იყო შემთხვევები, როდესაც სილაბუსებში ორი გამსვლელი ქულა იყო მითითებული.
- სილაბუსები უნდა ითვალისწინებდნენ კურსის შინაარსს, სპეციფიკას და ამის შესაბამისად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.
- მიღებული შეფასების გასაჩივრების საკითხი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. დოქტორანტებმა არ იციან, საჭიროების შემთხვევაში, თუ როგორ უნდა მოხდეს მიღებული შეფასების გასაჩივრება.
- მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს. ხშირ შემთხვევაში ერთი პიროვნებაა რამდენიმე დოქტორანტის ხელმძღვანლი, გარე კადრების მოწვევა ექსპერტების აზრით უნივერსიტეტს წაადგება.

საბჭოს თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 2020 წლის 17 იანვარს განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, აღნიშნული პროგრამა 2018 წლის აგვისტოდანაა აკრედიტირებული 1 წლისა და 6 თვის ვადით. ამ პროგრამაზე არასრული ერთი წლის შედეგი იქნა წარმოდგენილი. პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის 2.5 პუნქტში ვკითხულობთ, რომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსი და ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტის შეფასებას. შესაბამისად, მიიჩნია, რომ პუნქტი 2.3 სასწავლო კურსი, 2.6 სტუდენტის შეფასება, 4.1 სწავლის რესურსებით უზრუნველყოფა უნდა შეფასდეს ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა. საბჭოს მოთხოვნა და ექსპერტთა დასკვნა 2.3 კომპონენტთან მიმართებაში არ არის იდენტური, დაწესებულების წარმომაგენლის ვარაუდით ასეთი ფორმულირება შესაძლოა ხარვეზია. „დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულების მინიმუმი“ - იყო სილაბუსების ნაწილი, სადაც დაშვების მინიმალურ ქულად განსაზღვრული იყო 11 ქულა, თუმცა უმეტეს საგნებში, სავალდებულო დისციპლინებში დაშვების წინაპირობად დაფიქსირებული იყო 30 ქულა და მეტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სწავლების ამ საფეხურზე სტუდენტის მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჩანდეს, მაგრამ თუ ჩანაწერი დარჩებოდა 11 ქულა და მეტი, ეს გადაცდომად არ ჩაითვლებოდა. საგანში „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“ არ იყო გამოყენებული სწავლების კვლევითი მეთოდი, სილაბუსი თავად საგნის ხელმძღვანელი შექმნილია და რეკომენდაცია შესაძლოა მიეცეს მას. „სილაბუსი უნდა ითვაილსწინებდეს კურსის შინაარსს, სპეციფიკას და ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების შეფასების კრიტერიუმები“ დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეფასების სისტემის ახალ კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი მიმდინარეობს, ხდება სილაბუსების დახვეწა. დაწესებულების წარმომადგენელს 2.6 კომპონენტის შეფასება სწორად მიაჩნია, თუმცა შეიძლება ეს პუნქტი შეფასებულიყო, როგორც სრული შესაბამისობა. მათთვის გაუგებარია აღნიშნული პუნქტის შეფასება, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. საბჭოს შეფასება წინააღმდეგობაში მოდის ექსპერტის შეფასებასთან. რაც შეეხება სწავლის რესურსებით უზრუნველყოფას, ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები, დოკუმენტაცია რაც მათ ადგილზე შეამოწმეს ადასტურებს მათ კვალიფიკაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან ამონარიდი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელის ავტორიტეტსა და სტუდენტთა მოტივაციას შეეხებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში 5 პიროვნებაა ჩართული, საიდანაც 3 აკადემიური პერსონალია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი განაგრძო მეექვსე რეკომენდაციაზე - სტუდენტის სამეცნიერო საქმიანობა იწყება მისი უნივერსიტეტში შესვლისთანავე, ესაა მისი სამაგისტრო ნაშრომი, რომლის საფუძველზეც შესაძლოა დოქტორანტის განთავლისუფლება გამოცდაზე გასაუბრებისგან. კვლევითი კომპონენტის ჩართულობა სწავლების მესამე სემესტრიდან იწყება. დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას, საკლევი თემის დისერტაბელურობის საკითხში. შეფასებული ნაშრომის გასაჩივრებას რაც შეეხება, რადგანაც მსგავსი პრეცენდენტი არ ყოფილა სტუდენტები არ იცნობდნენ უნივერსიტეტის შინაგანაწესის 26, 36 და 37 მუხლებს. განაცხადის შევსების პროცესში სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს უნივერსიტეტის წესდებასა და დებულებას, განაცხადის ბოლოს სტუდენტი ადასტურებს ხელმოწერით, რომ იგი გაცნობილია უნივერსიტეტის წესდებასა და დებულებას. ჩამოთვლილ მუხლებში საუბარია, თუ როგორ უნდა მოიქცეს პროფესორი სტუდენტთან კონფლიქტური სიტუაციის დროს, რა სახის ქმედება უნდა განახორციელოს, ასევე დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები და აქვე

მითითებულია, თუ რა პროცედურა უნდა გაიაროს დოქტორანტმა მაშინ, როდესაც მიღებული შეფასება მისთვის არაა დამაკმაყოფილებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს საკითხის ხელახალი განხილვისა და გამოყოფილი დროისათვის. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ არცერთი რეკომენდაცია არ იყო უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებული, გახდა უნივერსიტეტის წარმომადგენლისათვის პრეტენზიის გამოთქმის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ თეოლოგია და ქრისტიანობის ისტორია ერთმანეთისაგან განსხვავებული დარგებია. დაწესებულების წარმომდგენლის აზრით, ექსპერტთა რეკომენდაციებში გამოიკვეთა დარგის რიგ საკითხებში ჩაუხედაობა. ქრისტიანობის ისტორიას შეხება აქვს უამრავ დარგთან, რაც არ იყო რეკომენდატორების მხრიდან გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა, თუ რატომ იყო ქრისტიანობის ისტორია სავალდებულო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქართული სამეცნიერო სკოლისათვის. პირველი ესაა კულტურული ფასეულობა ქრისტიანული ქვეყნებისათვის, რასაც სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ესაა პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ სახელმწიფოსა და ეკლესიის ტრადიციულ ჰარმონიულ ურთიერთობებს. დაწესებულების წარმომადგენელმა წინა საბჭოს მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა არის ერთაერთი პროგრამა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასეთი პროგრამის არსებობა და კადრის მომზადება საამაყოა. მსგავსი პროგრამები ევროპის ქვეყნებში არის, მაგრამ რუსეთში არის მხოლოდ თეოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ევროპული განათლების სისტემისკენ მიილტვიან, გსურთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური კადრების გაზრდა. ქრისტიანობის ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ძველი მაღალგანვითარებული დარგი იყო, მაგრამ გასული საუკუნეების პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ეს დარგი საერთოდ ვაკუუმში მოექცა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო რეკომენდაციების განხილვა. მეორე რეკომენდაციით, ექსპერტებმა დაწესებულებას ურჩიეს არჩევით საგნების დატვირთვა ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თავად ქრისტიანობა არის ის სფერო, რომელიც შეხებაშია უამრავ ინტერდისციპლინარული ხასიათის დარგთან. ამიტომ პროგრამაში შეტანილია ისეთი საგნები, რომლებიც დამოკიდებულებაშია ქრისტიანულ კვლევებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა და განიხილა არჩევითი საგნები და მათი შეხება ქრისტიანობის ისტორიასთან, მაგალითად, აქტუალური საკითხები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში, ქრისტიანული ანთროპოლოგიის ისტორია,ბიბლიური არქეოლოგია. პროგრამას დაემატა საგანი „ქრისტიანობა და კულტურა“. რაც შეეხება სილაბუსს „თანამედროვე რელიგიური მიმდინარეობები და მოძრაობები“, მოხდა კორექტირება დასახელებაში სიტყვის „მიმდინარეობები“ დამატებით და შესაბამისად, კორექტირდა თემატიკაც. უპირველესი დარგები, რომელთა გარეშეც ქრისტიანობის ისტორიის კვლევა დაუშვებელია, ესენია: რელიგიების ისტორია, კულტუროლოგია, ისტორია, ფილოსოფია და თეოლოგია. არჩევითი საგნები კი წარმოდგენილია შემდეგნაირად, „ქრისტიანობის ისტორია“ რელიგიის ისტორიასთან მიმართებაში,როგორც სავალდებული საგანი. „ქრისტიანობა და კულტურა“, როგორც არჩევითი საგანი კულტუროლოგიასთან მიმართებაში. „ღვისმეტყველების ისტორია“, საალდებულო საგანი თეოლოგიასთან მიმართებაში, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აქტუალური საკითხები“ კი სამოქალაქო ისტორიასთან მიმართებაში, „ქრისტიანობის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“ სავალდებულო საგანი ფილოსოფიასთან მიმართებაში, ხოლო „თანამედროვე რელიგიური მიმდინარეობები და მოძრაობები“ ფილოსოფიასა და ისტორიასთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სწორედ ამ პრინციპით ჩამოყალიბდა თემატიკა. ექსპერტთა რეკომენდაციებში,

აქცენტი გაკეთდა საგანზე კულტურის ანთროპოლოგია და ის დაკონკრეტდა, როგორც ქრისტიანული კულტურის ანთროპოლოგია, ხოლო ბიბლიური არქეოლოგია კი ქრისტიანობით და კულტურით. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, რომელიც ქრისტინობის ისტორიის ტიპური დისციპლინაა და თანამედროვე რელიგიური მიმდინარეობები და მოძრაობების თემატიკაში მოცემულია ის რელიგიური მიმართულებები, რომლებიც მომდინარეობს ქრისტიანობიდან. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, ქრისტიანული რელიგიური საკითხები არა მხოლოდ ნეგატიური მიმართულებით, არამედ პოზიტიური მიმართულებითაც მიმდინარეობენ, რის შესაწავლასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სადაო გახდა ასევე ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები - სათაური და თემატიკა. დაწესებულების წარმომადგენელს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ საკითხებში ექსპერტებმა მოიაზრეს ისტორიის კვლევის მეთოდები, მაგრამ ამ საკითხს პროგრამაში სხვა სავალდებულო საგანი სწავლობს. ასეთია, ქრისტიანული წყაროთმცოდნეობია, ისტორიოგრაფია. ქრისტიანობის არსებობის მანძილზე, თუ რა პრობლემები და აქტუალური საკითხები არსებობდა, სწორედ ეს თემები ისწავლება აღნიშნულ საგანში. მსგავსი საკითხები უნდა ისწავლებოდეს მაგისტრატურის პროგრამაში, მაგრამ სამაგისტრო პროგრამა დაწესებულებას არ აქვს. ქრისტიანობაში აქტუალური საკითხებია: სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, საღვთისმეტყველო და საეკლესიო დავები, საეკლესიო განხეთქილებები, შიდასაეკლესიო პროესები, ეკლესიის ფორმირების საკითხები და ასე შემდეგ, საგნის ხელმძღვანელი აღნიშნულ საკითხებს ასწავლის თანამედროვე ქართულ სინამდვილეში არსებულ პრობლემებთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მეხუთე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ბიბლიური არქეოლოგია არის ბაკალავრიატის პროგრამის საგანი. აღნიშნულ საგანში შევიდა ცვლილებები და რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. განმარტება გააკეთა ხსენებული საგნის ხელმძღვანელმა, მისი თქმით, ბიბლიური არქეოლოგია იმდენად საჭირო და საინტერესო საგანია პროგრამის თემატიკასთან მიმართებაში, რომ გადაწყდა დოქტორანტებთან წაკითხვა. საგნის სილაბუსის კორექტირება გაკეთდა, თემატიკა მოვიდა შესაბამისობაში დოქტურანტურის საფეხურის მოთხოვნებთან. ამავდროულად, აღნიშნული საგანი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე იკითხება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაზე შემოიღეს ახალი საგანი „ქრისტიანობა და კულტურა“ ყველა მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინებით. თუმცა, მისი დამოკიდებულებით ბიბლიური არქეოლოგია ძალიან საჭირო საგანია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგარამა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტის მაგალითზეა შესაწავლილი და მორგებული ქართულ სინამდვილესთან. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ხსენებული საგანი არის არჩევითი. უნივერსიტეტში დოქტორანტი, რომელიც აირჩევს პირველი საუკუნიდან მეცხრე საუკუნის ჩათვლით პრობლემატური საკითხის კვლევას, მან არ შეიძლება არ მიიღოს ცოდნა ბიბლიურ არქეოლოგიაში. განსახილველი დარჩა მეცხრე რეკომენდაციის მეორე ნაწილი, დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა პროგრამის მიზანი, სადაც გამოკვეთა სამი მიმართულება. პირველი, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიული ბაზების კვლევის საფუძველზე ისტორიულ-მეცნიერებათა თვალსაზრისით წინ წამოიწიოს პრობლემატური და შეუსწავლელი საკითხები. მეორე, კვლევების ჩატარება ქრისტიანობის ყველა მიმდინარეობასთან მიმართებაში. გაშუქდეს პრობლემატური საკითხები სხვადასხვა საკითხში: ეკლესიათშორის ინტერკონფესიალური, ინტერრელიგიური, საკულარულ ურთიერთობებში. მეოთხე, კველევში განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდებში ქრისტიანობაში განვითარებულ მოვლენებს. ასევე წარმოჩინდეს პრობლემის დაძლევის გზები. უნივერსიტეტის წარმომადგენლის დამოკიდებულებით, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიის მეორე და მესამე პუნქტებთან. აქვე მან უნივერსიტეტის მისიის მეორე და მეოთხე პუნქტები წაიკითხა. დაწესებულების წარმომადგენელმა მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით, მიუთითა რომ უნივერსიტეტს

ამჟამად ჰყავს 4 დოქტორანტი, ასევე კიდევ მიიღეს ორი. რეკომენდატორების თქმით მკაფიოდ განსაზღვრული არ ყოფილა სადოქტორო თემის მონახაზი, სამუშაო გეგმა და სავრაუდო თემების დისერტაბელურობა. დოქტორანტებმა სულ ერთი წელი იმუშავეს უნივერსიტეტთან, შემდეგ პროგრამას აკრედიტაცია შეუჩერდა. ისინი ორი სემესტრის განმავლობაში ვერ მოასწრებდნენ მკაფიოდ ჩამოეყალიბებინათ კვლევა. აღნიშნული ახალგაზრდები ჯერ კიდევ საისტორიო წყაროების შეგროვების პროცესში იყვნენ. სავარაუდო თემების დისერტაბელურობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ არ არსებობს ისეთი თემა, რომელსაც კორექტურა მუშაობის პროცესში არ დასჭირდება. გარკვეული კორექციების შეტანა ხდება სამუშაო გეგმაში. რაც შეეხება დისერტაბელობას, მისი აზრით არ არის მართებული მეცნიერ-ხელმძღვანელს 40 წლიანი გამოცდილებით ასწავლო, თუ რა არის დისერტაბელური თემა. საკვლევი პრობლემის დისერტაბელურობა განისაზღვრება აქტუალურობით, მოძიებული ახალი მასალის გაშუქებითა და მისი მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანით. დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა თემების სათაურები, მისთვის გასაკვირი იყო, თუ რატომ არ ითვლებოდა საკვლევი თემები დისერტაბელურად. „მსოფლიო საეკლესიო პირველობისთვის ბრძოლის ისტორიული ეტაპები“, „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველო ეკლესიის მოდერნიზაციის მცდელობები,შედარებითი ანალიზი“ - დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს ეკლესიაში საბჭოთა პერიოდში მიმდინარე ცვლილებები საერთოდ შეუსწავლელი საკითხია, ღრმა მეცნიერული კვლევები ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. „ათონის ივერონის საკითხი საერთაშორისო საეკლესიო პოლიტიკაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით სტატიების სახით გამოკვლევები არსებობს, საქართველოს არქივ საცავებში მოიპოვება ახალი საისტორიო მასალები, რომლებიც განსაზღვრავს ქართული ივერონის ღრმადმნიშვნელოვან პოლიტიკურ და საეკლესიო დატვირთვას საერთაშორისო არენაზე. და ბოლო თემა, „რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა 19-ე საუკუნის პირველ ნახევარში“. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ არაერთი სტატია მიუძღვნა ანტირუსულ პოლიტიკას. ბოლო რეკომენდაცია, რომელსაც შეეხო დაწესებულების წარმომადგენელი მდგომარეობს შემდეგში „უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და ჩაერთონ პროგრამის განვითარებაში“. თავად რეკომენდატორი ამბობს „მაღალკვალიფიციური პედაგოგები“, ის ფაქტი, რომ არ არსებობს ამ მიმართულებით მაღალკვალიფიციური პედაგოგები, არის მიზეზი ამ პროგრამაზე დაწესებულების მხრიდან მუშაობისა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, უნივერსიტეტი იბრძვის იმისთვის,რომ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არსებობდნენ. მისი თქმით, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი და პირველი სადოქტორო პროგრამის ქრისტიანობის ისტორიის დამტკიცებისთვის, საბჭოს წევრები ოქროს ასოებით შევლენ ქართული განათლების ისტორიაში. მათ სურთ ქართული განათლების სისტემა იყოს ისეთი, რომ დაემსგავსოს ევროპულ სტანდარტებს. ჯერ კიდევ განხილვის დროს ითქვა, რომ იმ თ ემებით, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა მხოლოდ ორი სადისერტაციო თემაა, რომელიც ორი დარგის მიჯნაზეა. ერთი ახალი, რომლის თემა ჯერ არ არის მიღებული, ამ საქმეში ჩასართავად მოლაპარაკებები მიმდინარეობს თსუს პროფესორ ნუგზარ ნაცვლიშვილთან. ხოლო მეორე თემა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკაზე, მთლიანად ეყრდნობა წყაროს - სინოდის მდივანს დეკანოს ჟმაკინს და მის დოკუმენტურ მასალას. რადგან ეს წყაროთმცოდნეობითი ბაზაა, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიაკითხეს წყაროთმცოდნეს თანახელმძღვანელობისთვის, თუმცა აღნიშნული პიროვნება გიორგი ოთხმეზური სამწუხაროდ გარდაიცვალა. უნივერსიტეტს ჰყავს პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელთან თანამშრომლობასაც დაწესებულება იმედოვნებს. საბჭოს დასკვნაში გაიჟღერა ფაქტმა რომ რამდენიმე დოქტორანტის ხელმძღვანელები ერთიდაიგივე პროფესორები არიან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ხელმძღვანელობაში სამი პროფესორია ჩართული. დოქტორანტის პრიორიტეტია აირჩიოს დარგში მიმართულება, მაგრამ საკვლევი ობიექტის გამოკვეთა

პროფესორის პრეროგატივაა. როდესაც დოქტორანტი აირჩევს ახალ და უახლესი ისტორიის პერიოდს, რომელიც პროგრამის მიმართულებაა, ბუნებრივია, ხელმძღვანელი იქნება ის პროფესორი, რომელსაც ამ მიმართულებით ნაშრომები აქვს. თუ კი დოქტორანტი დარგთაშორის მიმართულებას აირჩევს, მაშინ მოხდება პროფესორის მოწვევა. ეს პროცესი ხდება თემის გაფორმების შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, იმისათვის რომ მას შესაძლებლობა მიეცა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა საბჭოს წინა გადაწყვეტილებაზე, სადაც ასახულია ფრაზა „ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსი და ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტის შესაბამისობას, საბჭოს მიიჩნია, რომ 2.3 კომპონენტი, 2.6 კომპონენტი და 4.1 კომპონენტი ნაცვლად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, უნდა გადავიდეს ნაწილობრივ შესაბამისობაში“. მან ყუდარღება გაამახვილა 4.1 კომპონენტზე, სადაც ექსპერტებს არა რეკომენდაცია, არამედ რჩევა აქვთ გაცემული. სწორედ, აქაა რჩევა შესაბამისი გამოცდილების პედაგოგების მოწვევის თაობაზე. ეს არ იყო რეკომენდაცია, მაგრამ მას დაწესებულება მაინც ითვალისწინებს. თუმცა, ეს რჩევა საბჭოს გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია როგორც რეკომენდაცია. საბჭოს მხრიდან რჩევის გადაფასება, დაწესებულების წარმომადგენლის აზრით არის არასამართლიანი. ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ თავისი სიმძიმის მიხედვით ეს არ უნდა ყოფილიყო რჩევა არამედ რეკომენდაცია, შესაბამისად რჩევა ტრანსფორმირდა რეკომენდაციად. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შეფასების გასაჩივრების შემუშავების მექანიზმზეც, რაც შეეხებოდა 3.1 ქვესტანდარტს. მისი თქმით, 2020 წლის 6-7 ოქტომბერს დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, ამ ნაწილში სტუდენტებთანაც განხორციელდა გასაუბრება. 2021 წლის 21 იანვარს ავტორიზაციის საბჭოს განხილვაზე, ამ ნაწილის სტანდარტის მოთხოვნები უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა. შინაგანაწესში გაწერილი იყო მთელი რიგი პროცედურები. სტუდენტების უნმივერსიტეტში შემოსვლისას მიმდინარეობს მათთან საორიენტაციო შეხვედრები, რომლის დროსაც ისინი ეცნობიან მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ვებგვერდზეც დევს დებულებები, სტუდენტის უფლება ვალდებულებების მითითებით. დაწესებულების წარმომადგენლის დამოკიდებულებით, საბჭოს მხრიდან გაცემული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, დაწესებულება ასე მკაცრად არ უნდა ყოფილიყო შეფასებული. დაწესებულების წარმომადგენლის სურვილია, რომ პროგრამა შეფასდეს დაწესებულების ინტერესების სასარგებლოდ.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ გამოთქვა სურვილი გაეკეთებინა განმარტება. იგი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და მთლიანად გაიზიარა პროგრამის ხელმძღვანელის დამოკიდებულება ქრისტიანობის ისტორიის დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც განიხილავდა საბჭო, ვერ მოამზადებს იმ ტიპის სპეციალისტებს, რომლებიც ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას გამოასწორებდნენ. ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში არ ყოფილა არც სადოქტორო და არც სამაგისტრო პროგრამა, მაგრამ სამაგიეროდ ხელნაწერთა ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაქტობრივად სხვა სახელწოდებით მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი კვლევები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ისე მოხდა, რომ განხილულ პროგრამაში ის კვლევები საერთოდ არ აისახა. მხოლოდ ზაზა ალექსიძის, ილია აბულაძის, კირილ თუმანოვის, ბოლანტისტებიდან დაწყებული არ დარჩენილა მსოფლიოში არცერთი სკოლა, რომელსაც საქართველოში ჩატარებული კვლევები არ გაეზიარებინათ. მაგალითად მოიყვანა ისტორიული ფაქტი, როდესაც ილია აბულაძესთან სპეციალურად ჩამოვიდა ლუვენის სკოლის კომისია და მათ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანეს ქართული, სომხური და მეშვიდე საუკუნის თარგმანები. თუმცა, საბჭოს წევრისთვის გულდასაწყვეტია, რომ განსახილველ სადოქტორო პროგრამაში საქართველოს ისტორიის ეს

ეტაპი არ ფიგურირებს. არ შეიძლება პროგრამა გაკეთდეს ისე, რომ პირველი ქართული რელიგიური ტექსტი, რომელიც ევროპაში გამოსცა ადოლფ ჰარნაკმა ივანე ჯავახიშვილთან ერთად არ იყოს მასში შეტანილი. რჩევა, რომელიც საბჭომ რეკომენდაციაში გადაიტანა, ამას გულისხმობდა, რომ არსად არ ჩანდა კვლევითი პერსპექტივა. მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის ისტორია შეიძლება იყოს ინსტიტუტების დიდი პროექტი, რომელსაც მიეძღვნება 50 ტომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის განსხვავებული პროგრამა, რომელიც სწავლობს მხოლოდ ქრისტიანობას და არა რელიგიათმოცდნეობას. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, უცხოური პროგრამის პირდაპირ გადმოტანა იქნება არასწორი. მან აღნიშნა, რომ ამ დარგში 45 წლიანი გამოცდილება აქვს. ასევე, ახსენა სამაგისტრო პროგრამა, რისთვისაც ხელნაწერთა ინსტიტუტის რიგ პროფესიონალებს მოელაპარაკა. თუმცა, რადგანაც განსახილველი პროგრამა არის ქრისტიანობის ისტორიის პროგრამა, იგი უპირველესად ორიენტირებულია ქრისტიანობაზე. მისი დამოკიდებულებით ყველა პროგრამა ქვეყნის ინტერესებს უნდა მიესადაგებოდეს. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ახალ და უახლეს ისტორიაზე, იმიტომ რომ ის პრობლემები, რომლებიც ქვეყანასა და ეკლესიას აქვს, არის ახალი და უახლესი ისტორიის ნაწილი.
დაწესებულების წარმომადგენელსა და საბჭოს წევრს შორის მცირე დისკუსია გაიმართა, პროგრამის გამოშვებული კადრის პროფესიონალიზმსა და სანდოობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე და განაცხადა, რომ მუხედავად იმისა, რომ ისინი არ ხელშეკრულებით იწვევენ ბევრ სპეციალისტის, პროგრამაში ჩართული პერსონალის როგორც რაოდენობა, ისე მათი კვალიფიკაცია საკმარისია მისი მდგრადობისათვის.

მოსაზრება გამოთქვა დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამაც, და ყურადღება გაამახვილა ისევ 2020 წლის 28 თებერვლის №09 გადაწყვეტილებაში საბჭოს მიერ არსებულ შეფასებაზე. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ შეფასებას არ ეთანხმებიან და თვლიან რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ იმსახურებდა ასეთ შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც 2018 წელს გასცეს ექსპერტებმა მათ გაითვალისწინეს და ასევე გაითვალისწინებენ ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემულ არსებულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა საბჭოს წევრებს სურდათ თუ არა კიდევ რაიმეს დამატება. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ, რის შემდეგაც სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:31

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის

საფუძველზე მიიჩია, რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-2 სტანდარტი ნაცვლად, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან". მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია" მოთხოვნებთან.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩ ამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- მიზანშეწონილია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის უფრო შესატყვისი სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, - სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი საკითხებს, როგორიცაა დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმართება.
- პროგრამის მიზნების აღწერაში ვკითხულობთ: „პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალურ გადახრებისა და დევიაციურ ქცევებზე აქცენტით,....". „სოციალური გადახრა" და „დევიაციური ქცევა" იდენტური ცნებებია (ამ მოსაზრებას იზიარებს უსდ, რაც დასტურდება წინა აკრედიტაციის ოქმით N36, 24.08.2018) და სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, დევიაციური ქცევა გვხვდება. ამდენად, რეკომენდებულია დაზუსტდეს მიზნის ფორმულირება და შესაბამისად, ამოღებულ იქნეს ტერმინი „სოციალური გადახრები".
- მიზანშეწონილია, თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მოცემული სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მე-8 დონესთან.
- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირდეს და განისაზღვროს ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხით.
- რეკომენდებულია სავალდებულო კურსების ჩამონათვალში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის დამატება, ვინაიდან სწავლების სადოქტორო საფეხურზეა საუბარი;
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, გ-ქვეპუნქტი), რეკომენდებულია წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული 130 კრედიტი.
- მიზანშეწონილია, ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს სპეციფიკური სასემინარო ფორმატი;
- რეკომენდირებულია სილაბუსებში ასახული ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების სადოქტორო საფეხურს.
- საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტდეს სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები.
- რეკომენდებულია შეიქმნას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უნივერსიტეტში.

რჩევები:

- სასურველია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
- პროგრამის გასაუმჯობესებლად, შემუშავებული კითხვარების გარდა, სასურველია, პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა ფოკუს-ჯგუფების სახითაც ტარდებოდეს;

- გარე შეფასების მიზნით, გაიზარდოს თანამშრომლობითი კავშირები ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან;
- უმჯობესი იქნებოდა თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი .

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

მეორე საკითხი: .ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩია, რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: მე-2 სტანდარტი ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან”. მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ .

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩ ამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან.
- პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა ზოგადად რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა, შესაბამისად პროგრამა უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინის კურსებით.
- საფუძვლიანად არის გადასამუშავებელი სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
- არჩევითი სასწავლო კურსი „ბიბლიური არქეოლოგია“ საბაკალავრო საფეხურის კურსია, შესაბამისად ის ამოღებულ უნდა იქნეს პროგრამიდან.
- უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე.
- ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხული 4 დოქტორანტიდან უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი სადოქტორო თემის მონახაზი და სამუშაო გეგმა. დამაფიქრებელია დოქტორანტების მიერ დასახელებული სავარაუდო სადისერტაციო თემების დისერტაბელურობა.
- დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის მინიმუმი.
- სილაბუსები უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსს და სპეციფიკას და ამის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.
- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას.
- გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის (დოტორანტის პოტენციური ხელმძღვანელების) რაოდენობა მათი საკვლევი თემატიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსში „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“ დასაზუსტებელია თემატიკა (თემა N3, N4, N5, N6, N7).
- საჭიროა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

რჩევა:

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის სამეცნიერო მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ათვისებას.
- ვინაიდან სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობას წინა საფეხურების განათლება მიღებული აქვთ 2006 წლის საგანმანათლებლო რეფორმამდე და შესაბამისად არ აქვთ გავლილი აკადემიური წერა, სასურველია პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.
- სასურველია სპეციალობის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ მოეხსნას წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
- პროგრამაში სასწავლო კურსები უთანაბროდაა გადანაწილებული აკადემიურ პერსონალს შორის, ერთი აკადემიური პერსონალი კითხულობს ოთხ სასწავლო კურსს (20 კრედიტი), მაშინ, როდესაც დარჩენილი 20 კრედიტი გადანაწილებულია სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (10 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება პროფესორის ასისტენტობა და საცდელი ლექციის მომზადება).

- პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია დოქტორანტთა ხელმძღვანელების რიცხვის გაზრდა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია.
- სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას სტუდენტთა ელექტრონული პორტალი.
- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
- სასურველია არ მოხდეს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გადაფარვა.
- პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდაზე, რათა პროგრამა გახდეს ფინანსურად მდგრადი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა .ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 28^8 მუხლ ის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

18:33 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, აკრედიტაც იის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

მესამე საკითხი : სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2020 წლის 24 მარტის N51 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ.N53
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა კრედიტაციის ექსპრტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ ექსპერტს სთხოვა წარმოედგინა ძირითადი მიგნებები რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება მოხდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. თვითშეფასების ანგარიში, ტურიზმის სტატისტიკის სილაბუსი, სხვა სილაბუსები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო განახლებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია, დეკანის განკარგულება, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N51, - ეს არის ჩამონათვალი იმ დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც მოხდა დადარება საბჭოს მიერ აღნიშნული რეკომენდაციებისა თუ რჩევების, თუ რამდენად გაითვალისწინა

საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 24 მარტის №51 გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სასწავლო კურსი „ტურიზმის სტატისტიკა„ და მისი შინაარსი გამდიდრდეს გამოყენებითი სტატისტიკის საკითხებით ტურიზმში. - ექსპერტის განმარტებით, სასწავლო კურსი განახლებულია და წარმოდგენილია რეკომენდაციის შესაბამისად. შეცვლილია კურსის შინაარსი, თემატიკა გამდიდრებულია გამოყენებითი სტატისტიკის საკითხებით ისე, როგორც ეს რეკომენდაციაში იყო მითითებული. კერძოდ, საკითხები, როგორიცაა ტურიზმის სფეროში გამოკვლევების ჩატარების, განზოგადების და ასე შემდეგ. სილაბუსში განახლებულია ლიტერატურა.
- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში განახლდეს ლიტერატურა. - წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნათელია, რომ სასწავლო კურსებში ლიტერატურა განახლებულია, წიგნად ფონდს დაემატა ლექტორის მიერ მომზადებული სასწავლო მასალები რიდერების სახით, განახლებული ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკაში, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საბიბლიოთეკო რესურსებში.
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალილსწინებულ იქნას ისეთი საკითხების სწავლების მნიშვნელოვან წარმოჩენა, როგორიცაა მედიის გამოყენება ტურიზმის სფეროში,სოციალური მედია, მარკეტინგი, ლოჯისტიკა ტურიზმში. - სილაბუსები სტანდარტი ორის შესაბამისადაა წარმოდგენილი და შესულია ცვლილებები სასწავლო კურსის სილაბუსებში. რეკომენდაციის თანახმად გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები, სოციალური მედია მარკეტინგის როლი ტურიზმის ინდუსტრიაში, რეკლამის დაგეგმვა სოციალურ მედიაში, სოციალური მედია ტურიზმის ბიზნესისათვის, რეკლამა მასმედიაში, სოციალური მედიის მუშაობის პრინციპები.

აღნიშნული მიგნებები ექსპერტის მხრიდან გადამოწმდა არსებული დოკუმენტაციების საფუძველზე და დაადგინა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი აქტივობები და სრულად გაიზიარა მიღებული რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტს რჩევებისათვის, რომლებიც უკვე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მხრიდან. მისი განმარტებით, ადმინისტრაციის მხრიდან აღნიშნულ პროგრამას ექცეოდა ძალიან დიდი ყურადღება, ასე რომ თითოეული რეკომენდაცია და შენიშვნა შესრულებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელსა და ექსპერტს, ასევე მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიასირებინათ მოსაზრება ან პოზიცია, თუმცა მათ კითხვები და მოსაზრებები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:39
დასრულების დრო: 18:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:42 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა